## განმარტებითი ბარათი

## ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე „ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის განსაზღვრის შესახებ“

**1. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღების მიზეზი:**

კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღების მიზეზს წარმოადგენს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების განხორციელება.

**2. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის გამოცემის მიზეზი**

2020 წლის ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური ნუსხის დამტკიცება.

**3. კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტის ძირითადი არსი:**

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი შემუშავებულია „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის №283 ბრძანების შესაბამისად.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის პროგრამული ბიუჯეტის შემოსულობები პროექტით განისაზღვრა 20001.600 ათასი ლარით. შემოსავლები კატეგორიების მხრივ ნაწილდება შემდეგნაირად: საგადასახადო შემოსავლები 11967.700 ათასი ლარი, მათ შორის: ქონების გადასახადი 2600.0 ათასი ლარი; გრანტები 230.0 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი ; სხვა შემოსავლები 7751.90 ათასი ლარი. არაფინანსური აქტივების კლება 52.0 ათასი ლარი.

ბიუჯეტი გადასახდელების მხრივ განისაზღვრა 20001.600 ლარით, მათ შორის: გადასახდელები პრიორიტეტების მიხედვით შემდეგნაირად განისაზღვრა:

**1. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები 4402,700 ათასი ლარი**

**2. ინფრასტრუქტურის განვითარება 5039,100 ათასი ლარი.**

**3. დასუფთავება და გარემოს დაცვა 1440.0 ათასი ლარი.**

**4. განათლება 3612.500 ათასი ლარი**

**5 კულტურა,ახალგაზრდობა და სპორტი 3718.500 ათასი ლარი.**

**6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა 1788.800 ათასი ლარი.**

გივი მოდებაძე



მერი

ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერია